პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 236 (19078) პარასკევი, 12 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა და მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოსა და იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ალი აბდალა სალეჰის მოლაპარაკების შედეგები. სსრ კავშირსა და იემენის არაბთა რესპუბლიკას შორის გამართული მოლაპარაკება და მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირ-ჩრდილოეთ იემენის ურთიერთობის თანამიმდევრული განვითარების დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია. ხელშეკრულება მტკიცე სამართლებრივ საფუძველს უქმნის ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, მათს ერთობლივ მოქმედებას საერთაშორისო დაძაბულობის დასაცხრობად, კერძოდ, ლონისძიებებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევა. ამასთან კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ მიზნის ყველაზე საიმედო გზაა მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის თაობაზე, რომელშიც ესათუოდ და თანასწორუფლებიან მონაწილეობას მიიღებენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციები.

სხდომამ მოისმინა და მოიწონა ამხანაგ ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 35 წლისთავის დღესასწაულში საბჭოთა კავშირის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ. აღინიშნა, რომ დინამიკურად ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის ყველა მხარე. ამ ურთიერთობის განმტკიცებას ახალი თვალსაჩინო წვლილი შემატა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების დარგში 2000 წლამდე, პერიოდისათვის თანამშრომლობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის ხელმოწერამ. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ყველა მოძმე სოციალისტური სახელმწიფოს მეგობრობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცება, საერთაშორისო ასპარეზზე მათი მოქმედების ეფექტიანი კოორდინაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისა, რომ დაცხრება ომის საფრთხე ევროპასა და მთელ მსოფლიოში, განმტკიცდება მშვიდობიანი კონსტრუქციული ურთიერთობა ქვეყნებს შორის, საკადრის პასუხს გავცემთ იმპერიალიზმის, რევანშიზმისა და ომის ძალების ყოველგვარ ხრიკებს.

პოლიტბიურომ განიხილა წინადადებანი, რომლებიც ეხება საგაზაფხულო ხორბლის მაღალხარისხოვანი მარცვლეულის წარმოების გადიდებას ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში მისი თესვა-მოყვანის ინტენსიფიკაციის გზით. ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელების მეობებით ...

ვიზიტი დამთავრდა

11 ოქტომბერს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აბდალა სალეჰი. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

გაფრენის წინ კრემლში, ...

... გაიმართა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის გაცილების ცერემონია.

ა. ა. სალეჰი გააცილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ... რის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოად- ... საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი.

კრემლიდან ავტომანქანების კორტეჟი აეროდრომისაკენ გაემართა.

აეროდრომზე იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი გააცილეს ნ. ა. ტიხონოვმა, ჰ. ა. ალიევმა, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

...

სურათზე: გაცილების დროს კრემლში.

სამდს-საქინფორმის ტელეფოტო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღესასწაული

მეგობრობა — ფროინდშაფტ! ეს ღრმა აზრით აღსავსე სიტყვები გაისმოდა 10 ოქტომბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში. აქ გაიმართა საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების საზეიმო გახსნა. დათვალიერება ეძღვნება გერმანიის მიწა-წყალზე მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს შექმნის 35 წლისთა- ... ბლიკის ელჩი სსრ კავშირში ე. ... ვინტელმანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი მხურვალედ მიესალმა მოძმე ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუბილესადმი მიძღვნილ ხელოვნებისა და ლიტერატურის დღესა- ...

... ბლიკის ოფიციალური დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჰაგერის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუ- ... ჰონეკერის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით.

შემდეგ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საქდესი).

სოციალიზმის მშენებლობის დიდ გზაზე

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მოლდავეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს და მათ მებრძოლ ავანგარდს — კომუნისტებს ღირსშესანიშნავ თარიღს — მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მოლდავეთის კომუნისტური პარტიის სამოცი წლისთავს.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოლდავეთის მშრომელები აქტიურად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. გაიარა რა მძიმე გამოცდა და დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას, მოლდაველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ხალხების ძმურ ოჯახში მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება, ეროვნული სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, განახორციელა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები.

დიდი სამამულო ომის წლებში მოლდავეთის სახელოვანი შვილები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. გამარჯვების შემდეგ დიდი რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით, რესპუბლიკის მშრომელებმა მოკლე დროში აღადგინეს ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა, ააღორძინეს ნაცარ-ტუტად ქცეული ქალაქები და სოფლები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოლდავეთმა დიდი წარმატებები მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და ღირსეული წვლილი შეაქვს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. რესპუბლიკაში შეიქმნა და მნიშვნელოვნად განვითარდა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონიკა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა ...

... ტიკური და შრომითი აღმავლობით ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებებს, მტკიცედ იბრძვიან მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულების, წარმოების ეფექტიანობის, მუშაობის ხარისხის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ამაღლებისათვის. მოლდავეთის სს რესპუბლიკამ მიაღწია ხუთწლიანი გეგმის დავალებების დონეს ეროვნული შემოსავლის ზრდის, მრეწველობაში წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მიხედვით, არსებითი წვლილი შეაქვს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

საბჭოთა მოლდავეთის მიღწევები სოციალისტური წყობილების უპირატესობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი სასიცოცხლო ძალის, საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობისა და ძმობის მკაფიო დადასტურებაა.

რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებები განუყრელად არის დაკავშირებული მოლდავეთის კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის საქმიანობასთან. მთელი თავისი სამოცი წლის ისტორიის მანძილზე იგი ავლენს მასების პოლიტიკურ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად, ზრდის მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა მოლდავეთის მშრომელები გაამრავლებენ თავიანთ მიღწევებს, მთელ თავიანთ შემოქმედებით ძალებს მოახმარენ ეკონომიკური და სოციალური ...

... რის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეები საქართველოში

ეცნობიან რესპუბლიკას

11 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეების მოწყობასთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე პეტერ ცოლოტკა მეთაურობს, განაგრძობდნენ საქართველოს გაცნობას.

სტუმრები იყვნენ თბილისის კონიაკის ქარხანაში, სადაც დაათვალიერეს წარმოება, ესაუბრნენ საწარმოს სპეციალისტებს. შემდეგ დღეების მონაწილეები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ეწვივნენ.

. ამავე დღეს მოძმე ქვეყნის დელეგაციის წევრები მცხეთასა და გორის ღირსშესანიშნაობებს გაეცნენ. მათთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიროსლავ ზავადილი.

11 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გაუმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილმა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ პეტერ ცოლოტკამ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, ამხანაგები ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჩითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიროსლავ ზავადილი. (საქინფორმი).

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პარტიული, სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო საქმეა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმზე 1984 წლის 6 ოქტომბერს

ამხანაგებო!

...

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმი

(გაგრძელება)

სოციალიზმის სრულყოფის პერიოდში კომკავშირის თემაზე მიღებული ახალი გადაწყვეტილება მოწმობს, რაოდენ აქტუალურია ამ მუშაობის პროცესში ახალგაზრდობის აღზრდის, მისი იდეური, ზნეობრივი წრთობის პრობლემები, ადასტურებს, რომ ეს პრობლემები წინა პლანზე წამოაყენეს თვით ცხოვრებამ, ჩვენმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პრაქტიკამ.

ჩვენ ერთობ საფუძვლიანი სჯა-ბაასი გვქონდა. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება, რომელიც პლენუმის მონაწილეებს დაგირიგდათ, სხვა დოკუმენტები ფართოდ მოიცავენ კომკავშირისა და საერთოდ ახალგაზრდობის პრობლემათა გადაჭრისადმი პარ-

I.

უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელსაც დღეს უყენებს ჩვენი საზოგადოება ყოველ მაღალგანვითარებულ, განსწავლულ-განათლებულ ადამიანს, — ეს არის საზოგადოებრივი განვითარების ...

II.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმი

(გაგრძელება)

ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ მთლიანად დუმილით აუარა გვერდი მოვლენის ამ მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველაზე უფრო დამახასიათებელია, გამოხატავს ადამიანთა უმრავლესობის პოზიციას, თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები, რომლებმაც ნამდვილი გმირობა და დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, ხომ ჩვენი პარტიისა და კომკავშირის, ჩვენი ხალხის აღზრდილები არიან. მეტს ვიტყვი, ესენი არიან ნამდვილი თანამედროვე მატროსოვები, გამცემლიძეები, რუხაძეები, რომლებიც, ისევე როგორც მრისხანე ომის წლებში მათი თანატოლები, მზად იყვნენ უყოყმანოდ გაეწირათ თავი სამშობლოსათვის, ბოლომდე აღესრულებინათ თავიანთი მოქალაქეობრივი და სამსახურეობრივი მოვალეობა. შემთხვევით როდი მიენიჭა ამ მშვიდობიან დღეებში ორ მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო დანარჩენებს მიენიჭათ სახელმწიფო საპატიო ჯილდოები. ვაჟკაცურად იქცეოდნენ თვითმფრინავის მგზავრებიც, ადასტურებდნენ რა აზრს, რომ ცხოვრებაში მართლაც ყოველთვის შეიძლება გმირობის ჩადენა. საბჭოთა ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა მზად არის ასეთი გმირობისათვის, და ჩვენ ვამაყობთ ამ ადამიანებით.

ამავე დროს იმაშიც დავრწმუნდით, რომ ჩვენი საქმიანობის მიღმა დარჩენილმა ცალკეულმა პიროვნებებმა დიდი ტკივილი შეიძლება მიაყენონ მთელ რესპუბლიკას, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას. საიდან ჩნდება ჩვენს სინამდვილეში ასეთი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი, რომლებთანაც ზოგჯერ აშკარა ბრძოლის გაჩაღებაც კი გვიწევს? შეისწავლი რა ოჯახურ ატმოსფეროს, ყველა იმ გარემოებას, ყველა ფაქტორს, რომლებმაც ეს ადამიანები მიიყვანა სრულ დაცემამდე, ყოველივე ადამიანურის დაკარგვამდე, გამოგაქვს ერთადერთი დასკვნა: ყოველთვე ამის მიზეზია კეთილმოსაკეთლური, მეშჩანური ფსიქოლოგია და მორალი, ცალკეული ახალგაზრდის შეგნებაზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა. საბოლოო ანგარიშით, მათ შეიძლება უღალატონ საკუთარ სამშობლოს, მშობელი ხალხის აშკარა ღალატ-

[…]

III.

[…]

(დასასრული 30-4 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმი

(დასასრული)

ჩვენი ამ ბოლოდროინდელი ინფორმაციიდან ალბერტ ბეგიაშვილის ... ბალის ... ...